ISSN 0132-6015

7

ეშეკი

გაზეთისეული, 56-ე წელი, (№ 1545). აპრილი 1979. ფასი 20 კაპიკი.

ნახ. ჯ. ლოლუასი



ეროვნული ბიბლიოთეკა

— თედო, მიდი, ტელევიზორი ჩართე, ეტყობა, კარგი დეტექტივია მაკვლელობაზე!

ვის უნახავს

„ვის უნახავს ძველისძველი
ჯვარის მონასტერი“,
რომლის ახლოს მთებად დადგა
მიწა, ქვა და მტვერი?!

იქ ამყოფა ქარიან დღეს
მხოლოდ თქვენი მტერი,
მოკლე ხანში დაედება
შავგვრემანის ფერი!

ჯვრის მიდამოს ეს ქვა-ღორღი
კურტანივით „შვენის“,
ჩემს სიმღერას თუ გაიგებს,
ნეტავ, „გვირაბმშენი“?!

გაცაცხვეგული ჭადრები

სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოში, მდინარე თხინარას მარცხენა ნაპირზე, დგას რვა ძირი ვეებერთელა, მრავალწლიანი ჭადარი. მათ წინ მშენებლობა წამოუწყიათ, რის გამოც ეს ისტორიული ხეები, რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალის მხრიდან, სანახევროდ დაფარულია. ეს კიდევ არაფერი! უფრო გულსატკენი და სავალალო ის არის, რომ ერთ დროს ამ ჭადრებს ცაცხვები უწოდეს, აღრიცხეს, პასპორტები გაუკეთეს, ზედ მიაჭედეს ტრაფარეტები, რომლებიც ამჟამად უანგისაგან ნახევრად შეჭმულია.

ჭადრებს „ამშვენებს“ წარწერა: „დიდხნოვანი ცაცხვი (8 ძირი) დაცულია სახელმწიფოს მიერ, აკრძალულია დაზიანება, ზედ წარწერის გაკეთება, მოჭრა, მის ქვეშ ტრანსპორტის დაყენება, კარავის, ან პირუტყვის სადგომის მოწყობა ბუნების ამ ძეგლის განზრახ განადგურებისათვის დამნაშავე მიეცემა პასუხისგებაში...“

იქვეა შესატყვისი რუსული წარწერაც!..

— კი მაგრამ, თქვენ ხომ ჭადრები ხართ?! — ავძახე ტანაშოლტილ ბუმბერაზებს.

— ჭადრები ვართ, ჭადრები, მაგრამ ცაცხვები შეგვარქვეს! — ფოთლების შრიალით გადმომიჩურჩულეს ხეებმა სევდიანად.

გულდაწყვეტილმა ისღა მოვახერხე, ბუნების ამ ლამაზ გოლიათებს მინდიასავით შევპირდი, რომ ამ უმეცრებას ქვეყანას ვამცნობდი, მათ ჭრილობას მოვუშუშებდი და ახალი პასპორტების შედგენაში დავეხმარებოდი!..

ბადრი ტონია

ქ. სამტრედია

ნაკვესები

● **მინის ტარის** მიმღებ პუნქტში მიღება ყოველდღე იყო და მიმღებიც ყოველთვის ბლომად იღებდა.

● **უხარისხო** ბინებს ხელოსნები არემონტებდნენ, ბინების მფლობელთა გულებს — ექიმები.

● **იმ** ტოტს ჭრიდა, რომელზეც იჯდა, მაგრამ ძირს მაინც არ ვარდებოდა.

● **ისეთ** დისერტაციას იცავდა, რომ თვითონ გახდა დასაცავი.

● **ქორვაჭარი** ასანთს არ ხმარობდა, რადგან მის საქონელს ისედაც ცეცხლი ეკიდა.

● **ყველა** ძირს უთხრიდა და თვითონ მოითხარა.

● **სიმწიფის** ატესტატი ჰქონდა, მაგრამ მაინც უმწიფრად თვლიდნენ.

დავით თოთიბაძე

ნახ. ი. ყეინაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსიტყვოდ



უსიტყვოდ

ნახ. ვ. ჭეიდლიშვილისა

უსიტყვოდ

ნახ. ა. ოკროპირიძისა



უსიტყვოდ

120 წლის ეგნატე ნინოშვილს

ჩაგრული ხალხის მესიტყვევ, —
ვინც ერს სინათლე შემატე, —
გადიდებს ყველა ქართველი
შენ — ას ოცი წლის ეგნატევ!
დღეს კარგად ცხოვრობს გოგია,
მუნჯაძე ალაპარაკდა,
შენი ღარიბი სოფელი
დონინი ახლოს დგას ქალაქთან!
თუმცა დღესაც გვყავს აქა-იქ
გულფუჭაძე და მკლავაძე,
რომელთაც გულზე სიავე
და სიბოროტე კვლავ ადევთ!..
დღესაც გვყავს ბევრი „რაინდი“
მკვლელი მკლავაძის სადარი:
ის, „დუბლიორნკის“ გულისთვის,
კაცი რომ მოკლას, მზად არის!
გვყავს „სპირიდონიც“ სხვაგვარი,
ხარბად ილესავს დღეს კბილებს,
„ყიგულისთვის“ და ბინისთვის
რომ ირთავს უცნობ დესპინეს!
თვითონ დესპინეს ვერ იცნობ,
ისე ახურავს, აკვია,
დადის ჩექმებით, შინელით,
ვითარცა ჯარისკაცია!..
ქალს კაცში ვეღარ გაარჩევ,
ისე იკვამს და იხურავს,
ახლოს არ მიდის აკვანთან
და უფრთხილდება ფიგურას!
სახელნიც გადაიკეთეს:
ჰქვიათ შარლოტა, ვიოლა...
დროიძეების წყალობით
ცხოვრობენ ლაღად, იოლად!..
დროიძეებიც მომრავლდნენ —
ტიტიკოცა და დავითიც
კუჭაძეებად გარდიქცნენ,
უნდათ სხვისი და თავისიც!
ჩვენაც გვყავს მოსე მწერალი,
არ ჩამორჩება შენს მოსეს,
ზოგს სკამი გამოაცალეს,
(ზოგიც დიდებით შემოსეს!)
ნაღდი მწერალი ბევრი გვყავს, —
კალმით დაიპყრეს მწერვალნი!
ყოველ ერთ ქართველ მკითხველზე
მოდის ორ-ორი მწერალი!
ბალნარად იქცა გურია,
ოზურგეთს დაბა არ ჰქვია,
ლანჩხუთში ურემს ვერ ნახავ
და „ყიგულებით“ დაჰქრიან.
დალაგდა ხვავი, ბარაქა,
სიხარულს ვეღარ ვითვლით დღეს
სულ ვერტმფრენებით ფრინავენ
ორაგვეღლიძე, წითლიძე!
ასრულდა შენი ოცნება,
სახე ვიცვალეთ სრულიად,
გმირი დარიკო, სიმონა
ათასობით ჰყავს გურიას.

ვანო ციცაძე

ჯარგვალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაშლილი მაქვს ეგნატე ნინოშვილის ათას ცხრაას ოცდათხუთმეტ წელს გამოცემული თხზულებათა სრული კრებულის უკვე გაყვითლებული მესამე ტომი და სიტყვასიტყვით ვიწერ ესმა თოთობაძის მოგონებას. ჩვენი დროისათვის ამ უცნაურ საქციელს, რა თქმა უნდა, ექნება თავისი მიზეზები, შეიძლება ითქვას, მიზეზთა მთელი წყებაც, მაგრამ, რადგანაც მათი უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა ძალიან, მე მხოლოდ ერთს ვიტყოდი, და იმასაც ორიოდე სიტყვით: სტრიქონები, რომლებსაც მე ამ წიგნიდან ვიწერ, ყრუ, განმწმენდელ ტკივილებად შემოდის ჩემში, მინდა, ასეთი ყოფნა გაგრძელდეს, რაც შეიძლება დიდხანს, მინდა, ხელები გავშალო, მივაწვდინო სხვებს და ეს ტკივილები ელექტროდენივით გადავცე მათაც... მგონია, ამით, ნაწილობრივ მაინც, მოვიხდით სასჯელს, რაიც გვეკუთვნის დიდი, პატიოსანი ადამიანების წამებული სულების წინაშე თუნდაც შემთხვევით გამოჩენილი გულგრილობის გამო. რა ხასიათის ლიტერატურულ ფაქტთან გვაქვს საქმე, მე ეს არ მადარდებს, ამ კატეგორიების დამდგენთა წინაშე მე შემიძლია ძალიან გულმშვიდად წავდგე.

თოთხმეტი წლის გამათხოვეს, — ასე იწყება მოხუცი ქალის მოგონება ეგნატეზე, მიმცეს სინო (სიმონ) თოთიბაძეს, რომელიც ცხოვრობდა ოზურგეთში. წამიყვანეს იქ. სახლი გვედგა, ახლა რომ სადგურია მატარებლის, იმას ზევით, მაღლობზე. რომ მიმიყვანეს, ეგნატე არ დამხდენია იქ. ჯერ ცხოვრობდა მანასე თოთიბაძისას და შემდეგ გადმევიდა ჩვენსას, რადგან მოწაფეები, სამი ძმაი მელუები, გვედგა მაინც. მელუები იძლეოდნენ თვეში ოთხ მანეთს და საჭმელი მისაჭმელით მოჭონდენ თვითონ. ეგნატეს ფულს არ ვახთიებდით, მხოლოდ, რაც კი შეეძლო, საჭმელი მოქონდა მისი ზურგით შინიდან, რადგან ძაან ღარიბი იყო.

ეგნატე იქნებოდა ჩვიდმეტ წლამდე, სუსტი, მომაღლო ტანის, ძაან ხმელი, ბეჭებში მოხრილი და ვიწრო, გრძელი პირისახის. იდგა მელუებთან ერთად ბინაზე ჩვენსას და ოთხივე დეიარებოდა კლასში. გევიდა წელიწადნახევარი და ეგნატე გაგვეყო. ჩვენი ადგილის კუთხეში, ფენაზე ამოთხარა მიწა. მეიხმარა მელუები და დადგა ჯარგვალე. ასე, ოთხარშინიანი იქნებოდა ირგვლივ. დაასო ოთხი ბოძი და ზედ ააკრა შვაზეგაპობილი შეშები და ფიცრების ნაკიდურე, რომელიც ზოგი ჩვენდგან წეიღო, ზოგი მანასედან და ზოგიც სხვა მეზობლებმა მისცა. გადახურა რაცხა საწყლათ და დაღობილი ჩელტეს კარი შეკიდა ზედ. ჯარგვალეს გვერდები თითო თითის გორვაზე იყო დაშორებული. შით, მიწაზე, დადო ორი შეშა და ზედ დაადვა სამი ფიცრის ნაკიდურე, რომელზეც ტანგოუხდელი წობოდა პირდაპირ. პირველათ მელუებიც მასთან ცხოვრობდა. ქვეშაგებელი არ ქონდა. ეცვა ერთი პალტო, ვინცხეის ნაქონი, ძაან გახუნებული, და ამით იყო სულ. ტანისამოსს შინაურები ვერაფერს უკერვიდა, ძველებს აძლევდნენ ხან ჩვენები და ხან მანასესანი. არც ფეხსაცმელი ქონდა. ერთი წევიდა შინ და შინაურებს ქალამანი შეეკერენ მისდა. ზამთარში ფეხშიშველი ჩამევიდა, ქალამანი ხელით ჩამეიტანა, გზაზე დაგჯებოდაო.

რაც გიეწყობოდა, სუფთა ბიჭი იყო საწყალი. გაზაფხულზე ან შემოგომაზე, როიცხა ძაან სიცივე არ იყო, წევიდოდა ნატანების წყლის პირზე, გეიხთიდა ტანზე, გარეცხვიდა ყველაფერს და ტანსაც დეიბანდა. საქმედ ტანისამოსი შეშრებოდა, მიიმალებოდა ყვეროში და წიგნს კითხულობდა. ჩეიცვამდა მერე ნახევრათ მშრალს და მევიდოდა შინ.

საჭმელს თვითონ იკეთებდა. ჯარგვალეში ქონდა კელამიდე (თიხის კეცი), ლიტრე (პატარა დოქი), ხელგობა და გატეხილი ჩარხანე (თუჯის ქვაბი). კიდომ კუთხეში ქონდა მიყუდებული ყვეროცოცხი, რომლითაც გვიდა მის სახლს. ჭადს ზელდა და იცხობდა. თუ იყო რამე მინდორში, მონახავდა ფხალს და მოხარჩვიდა, მარილს წააყრიდა და მიაჭმევდა ჭადს, ან კიდომ ყველს ან ტარანს, თვარა ქე იყო მშიერი. მიუხედავად ამისა, სულ კითხულობდა და კითხულობდა. არ იქნებოდა მისი ტყვილი გაჩერება, სულ წიგნზე იყო მიციცქინებული.

სამკითხველო არ იყო მაშვინ, მარა სულ სხვა და სხვაი წიგნები მოქონდა და კითხულობდა. საცხეიდან ყოველთვის მეიტანდა წიგნს.

წიგნსავით ეგნატეს არაფერი არ უყვარდა. იშვიათად დეინახავდი გაცინებულს ან გათამაშებულს. არც იგი მოხდებოდა მისგან, ახალგაზრდა კაცი რომ ქალებს გიეკიდებოდა და დროს დაკარქავდა. მგონი, წიგნზე ქონდა ჭიპი მიჭრილი.

ჩვენსას მევიდოდა და, სიმინდის ფშვნაზე რომ მოგვეხმარებოდა, წიგნს ჯორკოზე მიაყუდებდა გადაშლილს და თვალით იმას უყურებდა. კითხულობდა და შლიდა. ღამე შვაღამემდი კითხულობდა, დღეი მეიმზადებდა ფიჩხებს და იმით ინათებდა სინათლეს, რის გამო ხშირათ თმაიც კი ქონდა შერუჯული. აბირბილდებოდა ფიჩხის ცეცხლი. წეიკითხავდა ცოტას და ჩოუქრებოდა. კიდომ შეურთავდა ფიჩხს და ამასობაში წაკითხულს მოყობოდა, რაც ბევრჯელ გამიგონია, რომ დამიტანებია ყური იქითკენ მიმავალს. კიდომ ეინთებოდა და კიდომ წეიკითხავდა, და ასე წვალობდა შვაღამემდი. სახლიდანაც რომ გევიხედვიდით, განათლდებოდა მისი ჯარგვალე უცბათ და დაბნელდებოდა. კი ჩანდა, ნუ გეშინია, დაღრიოვებულ კედლებიდან. კიდომ განათლდებოდა და მიბნელდებოდა. ასე იყო ზამთარშიც. ყველას ეძინა და იგი კითხულობდა. რა ქონდა საწყალს! იყო მშიერი, მწყურვალე, ჩოუცმელ-დოუხურავი, გაყინული სიცივით, უსინათლოდ და მარტუე მიგდებული, მარა მაინც კითხულობდა და კითხულობდა. მევეცი ჭრაქი, და ნაფთსაც ხან ჩვენ, ხან სხვაი აძლევდა. გულზე ქინძისთავი ქონდა და იმით ამოუწევდა გულს, რომ ჩეიწობოდა. ხშირად, რომ არ ქონდა ნაფთი და სხვისი შეწუხება ეზარებოდა, მაინც ფიჩხით ინათებდა. უწინ კი სულ მარტუე ფიჩხით იყო საწყალი. არავის არ აწყენინებდა საწყალი, ოღონდ



ზოგიერთი საყვედურებდა იმაზე, რომ ფიჩხი მიაქვს ჩემი ეზოდანო.

ყანაში კი იშონიდა საჭმელს, თუ მიეხმარებოდა ვინმეს, მაგრამ მაინც შიმშილი ერჩია, ოღონდ წიგნი ეკითხა.

წელიწადნახევარი იმ ჯარგვალეში იყო. მერმედ კლასში რაცხა უჩენიკების აბუნტება დაწამეს და გამოაგდეს იმის გამოისობით.

წევიდა მერმედ საწყალი საცხა და მისი ჯარგვალე კიდომ დიდხანს იდგა იქინე...

ეგნატე ნინოშვილი ოცდათოთხმეტი წლის გარდაიცვალა ფილტვების ტუბერკულოზით. სოფელში კუბოსთვის ფიცრები ვერ იშოვეს, მთლიანი მორი ამოგულეს, შიგ ჩასვენეს და ისე დამარხეს. მის კალამს ეკუთვნის: „პალიასტომის ტბა“, „ჯანყი გურიაში“, „გოგია უიშვილი“, „ქრისტინე“, „სიმონა“, „პარტახი“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და სხვა მოთხრობები. თუმცა, სულ დამავიწყდა მეკითხა, გიყვართ, საერთოდ, მოთხრობები, თუ არა?

რევაზ ინანიშვილი

ნახატები ჯ. ლოლუასი

ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებთა ნიანგისეული ილუსტრაციები

„სიმონა“

„პარტახი“

„მოხე მწერალი“

ტარიელ მკლავაძე

„გოგია უიშვილი“

„ჯანყი გურიაში“

ნახ. ი. ყეინაშვილისა

უსიტყვოდ

„ეზოში ავი ძაღლია!“

„ეზოში ავი ძაღლია!“ — ავად გაისმის ხმა მისი!
იმის პატრონთან სტუმრობამ სულ დამიკარგა ხალისი!..
ეს, მგონი, მეცხრედ მეძახის, შვილის ქორწილში მპატიუებს!
მას ჩემი რა გააოცებს?! მე მისი ყინი მაგიუებს!..
ბოლოს, როს ვერა გავაწყვე, კრძალვით მივადექ კარებზე, —
შიშისგან ღონემოხდილმა, — ხელი ვიფარე თვალებზე!
ერთი ნაგაზი წინკარში ატუზულიყო ბავშვივით,
ორი კი, მოზვრისოდენა, ეზოში ჰქროდა რაშივით.
„ამას ვის ვხედავ?!“ — იჭექა იქ მასპინძელმა ვალიკომ
და დაიყვირა იმხელა, რომ ყურთასმენა წაიღო!..
ჩემს სანახავად აივანს ხალხი მოაწყდა ჯარივით,
ეზოში, ფერდაკარგული, გადავლასლასდი მთვრალივით!..
ეს მახსოვს, სხვა არაფერი!.. ტკივილი შანთით მდაღვდა!..
ჩემს ირგვლივ უცებ დაბნელდა, ელვის სისწრაფით დაღამდა!..
ბოლოს, გონს როცა მოვეგე, თვალი რომ გამოვახილე,
თავსწამომდგარი მეულლე თვალცრემლიანი ვიხილე!..
იქვე, მეზობლის ქალები თავს ახალ ჭორით ირთობდნენ,
სიცივით გალურჯებულნი, ხელებს ღუმელთან ითბობდნენ!..
„მაგას რა უჭირს?! — კოსტუმი უშარვლოდ მოიტანაო,
შიშველ-ტიტველი დაბრუნდა გუშინწინ ჩემი ანაო!“
ვისმენდი ქალთა გასაჭირს, მე ჩემი მემატებოდა,
თვალწინ კი ვაი-მასპინძლის ნაგაზი მელანდებოდა!..

ვედევან ძიძიკაშვილი

პარადოქსები

ნიგოზი მარგებელიაო და — ბაზარში ფასი აუწიეს, თამბაქო მავნებელიაო და — გამყიდველებმა ზედმეტ ფასებში დაიწყეს სიგარეტის გაყიდვა.

მარტო ერთ კაცზე რომ არ შეეპაროთ ეჭვი, შეჭქმნეს კომისია.

გამორიცხული არ არის, უდაბნოში იდგე და ჩრდილი მოგაყენონ!

ანდრო კოკოლია

ნიანგს პასუხობენ

ჩვენი ჟურნალის გასული წლის მეექვსე ნომერში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილში — „ნიანგი სტუმრად“ — დასმულ საკითხებს პასუხობს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. ე. **დუდჩენკო**:

„წერილში — „ნიანგი სტუმრად“, ქვესათაურით — „ჭოლგები „ჭერქვეშ“ — ხაშურის საგალანტერიო ფაბრიკის შესახებ მოტანილი ფაქტები სინამდვილეა: ფაბრიკის მშენებლობის დროს დაშვებულმა შეცდომებმა შემდგომში იჩინეს თავი — ჭერიდან ჩამოვიდა წყალი. სამინისტროს გადახურვის შესასწავლად მოიწვია სპეციალისტები ლენინგრადის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტიდან, ამავე ინსტიტუტს დაევალა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 1979 წლის პირველი კვარტალისათვის, რის შემდეგაც დაიწყება მუშაობა.

ქვესათაურით — „ასი მეჭურჭლე, ერთი მეკომბლე და ფარშავანგები“ მოტანილი ფაქტები, რომლებიც ქუთაისის კიროვის სახ. სამკერვალო გაერთიანებას ეხებოდა, ძირითადად სინამდვილეს შეეფერება.

როგორც წერილშია აღნიშნული, ქუთაისის კიროვის სახ. სამკერვალო გაერთიანებას, მიუხედავად მრავალი წარმატებისა, ნაკლოვანებებიც აქვს. ეს, ძირითადში, გამოიხატება უხარისხო პროდუქციის გამოშვებაში. მართალია, რომ შემცირდა სავაჭრო ორგანიზაციების მიერ წამოყენებულ ჯარიმათა რაოდენობა, მაგრამ მან 1978 წელში მაინც 208,8 ათასი მანეთი შეადგინა.

ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წარმოებაში გატარდა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი: დაიდგა ორნემსიანი და დახურული ნაკერის შემსრულებელი მანქანები, განახლდა სამანქანო პარკი და სხვა...

ამჟამად მიმდინარეობს გაერთიანების მასშტაბით ქსოვილების მომზადების და გამოჭრის ცენტრალიზაცია. საქ. სსრ სამკერვალო გაერთიანებამ გასულ წელს 16 მოდელს მიანიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. ამ ნიშნით გამოშვებულია 5,1 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც მთელი გამოშვებული პროდუქციის 8,5 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ნედლეულის მომწოდებელი ბაზები და ორგანიზაციები ხშირად ვერ გვაწვდიან შეკვეთილი ფერის ქსოვილებსა და ფურნიტურას, ეს კი გავლენას ახდენს წარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ნორმალურ ურთიერთობაზე.

სამინისტროს კოლეგიის მიერ დასახული და დამტკიცებულია მთელი რიგი ღონისძიებანი 1979 წელს გეგმის განუხრელი შესრულებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის“.

ვნახე უცხო...

ვნახე უცხო, ღრეჯით მდგარი, თმა მხრებამდე დაეფინა,
გაესიგრძეგანებინა, ძირს ხალიჩად გაეფინა,
ისე სტვენდა, ეტყობოდა, ადრეც ბევრჯერ გაეფრინა!..

ტანს არცა კაბა ემოსა, არცა რამ — შარვლისმაგვარი —
„ბულდოგები“ თუ „ბუგები“ — თავის არნაამაგარი!..
თვალს არასოდეს ენახა შესამოსელი ამგვარი!..

მიკვირს, რად იდგა გონშტერად, ხელი რა ცოდვამ დაჰრია?!
კევსა ღეჭავდა ღმეჭითა, აღმაშფოთა და ამრია.
შიშმა შემიპყრო და ლამის ცოცხალი მკვდრებში გამრია!..

ფრაზები

- **კურდღელმა** თქვა, ძაღლის დანახვა მირჩევნია გაძაღლებული კაცის დანახვასო.
- **გაქცეულ** მტერს ნუღარ ააჩქარებ! — რად გინდა, კუდით ქვა ასროლინო?!
- **კაცი** შეიძლება იცინოდეს მაშინაც კი, როცა სულ არა აქვს საქმე სასაცილოდ.
- **მსოფლიოს** ისტორიას იცნობდა, მას კი მეზობლებიც არ იცნობდნენ.
- **მტერსაც** უნდა აპატიო, თუ ის საპატიოა.
- **უხეირო** ძმას ხეირიანი მტერი მაინც ვერ სჯობს.

ბიჭიკო სირაძე

ნახ. მ. აბაშიძისა

№ 264
16.IV 79

მოუსვენარი დასვენება

გამარჯობათ! ჩამოვედი
არდალიონ ყანწიშვილი!
ცალკე ოთახი მომეცით,
ცალკე მქონდეს ნაძვის ჩრდილიც!
ცალკე მინდა აბაზანა,
ზღვაზე — ცალკე გასასვლელი,
ცალკე — ტახტი გასაზმორი,
ცალკე — ტახტი დასასვენი!
ჩაი საწოლში მომართვით!
ვახშამი და ძილის მადლი
აქ დამიდგამთ ტელევიზორს!
იქ დამიდგით ბილიარდი!
თან, ისეთი სიჩუმე მსურს,
დუმილი რომ გარს ევლება! —
ასე მესმის აგარაკი,
ამას ჰქვია დასვენება!
და ოთახი არდალიონს
მისცეს, ყველა ღირსებანით:
ახატული, ჩახატული,
არ ჰკლებია სიგრძე-განიც!
დილით ნაწყენს გაეღვიძა,
(თუმც ვინ ჰყავდა მწყენებელი?!)
ჩხუბით ფეხზე დააყენა
სახლი დასასვენებელი:
„ეს ოთახი შემიცვალეთ,
წვეთი არ დამიძინია,
ზღვის ნიავი არ მასვენებს,
ვარსკვლავების ციმციმია!
ვზივარ ტანგაუხდელი და
ასე ველი გათენებას,
მთელი ღამის უძილო ვარ,
ამას ჰქვია დასვენება?!“
არდალიონს შეუცვალეს
ის ოთახი, სულ სხვა მხარეს,
სულ არ ჩანან ვარსკვლავები,
არც — ზღვის ტალღა მოკამკამე.
ერთი ღამე გაათია,
მაგრამ დილით აბუზღუნდა:
„ბულბულები შემომიჩნდნენ,
ამ ბულბულებს რაღა უნდათ?!
მათ გალობას ვერ გავუძელ,
არ მასვენებს კაკაბ-გნოლიც,
ჯერ რომ შაშვი იჭიკჭიკებს,
მერე მღერის იადონი!“
ის ოთახიც შეუცვალეს
და მოეწყო თითქოს კარგად,
მაგრამ დილით დაიყვირა:
„ვერ ავიტან წყაროს რაკრაკს!
ძილში მისი ხმა ჩამესმის,
სიზმრები მაქვს დაფანტული,
მთელი ღამე არ მასვენებს
მორაკრაკე ნაკადული!“
შეუცვალეს ის ოთახიც,
ახლა სხვაგან დაბინავდა,
მაგრამ დილით, ალიონზე,
დაჭრილივით აღრიალდა:
„აქ ვერხვები შრიალებენ,
ჰქუხს მერცხლების ბუდის ხორო!
მომცენ ბინა შესაფერი,
აურზაურს გამაშორონ!
მე ისეთი სიჩუმე მსურს,
დუმილი რომ გარს ევლება!
აბა, ეს რა ადგილია?!
ამას ჰქვია დასვენება?!“
ეს მებაღემ გაიგონა,
მოიმარჯვა ხელში ბარი
და გულმოსულ არდალიონს
უთხრა სიტყვა სანუკვარი:
„შენ ნუ ღელავ, მე გიშველი,
მიწას გავთხრი ამ წამშია,
შენ რომ მყუდროებას ეძებ,
იგი მხოლოდ საფლავშია!“

ოთარ მამფორია

ნახ. ბ. აბაშიძისა

როგორ დაიჭირა სახალხო რაზმელმა დამნაშავე

ფაქსოაუქციონი

— მანეთი ერთი!
— მანეთი ორი!
— ორი მანეთი!
— ორი მანეთი ერთი!
— ორი მანეთი ორი!
— სამი მანეთი!
— სამი მანეთი ერთი!
— სამი მანეთი ორი!
— ოთხი მანეთი!
— ქალო, დაჯექი, მიგიყვან საბურთალოზე!

გოდერძი მუსაშვილი

„ერთგული“ ეპიზოდი

ტურისტულ მოგზაურობაში შეიტყო, დირექტორი რომ მძიმე ავად გახდა. საელჩო შეაწუხა, უჩემოდ იქ საქმე არ ივარგებს, გაფუჭდებაო, და გადმოფრინდა. აეროდრომიდან საავადმყოფოში მივიდა და დირექტორის მანქანა იქ გამოიძახა. მე მოადგილე ვარ, აბა, ვის უნდა მოემსახუროსო?! ექიმების არასაიმედო ამბავის მოსმენის შემდეგ სამსახურში გაემგზავრა და დირექტორის კაბინეტში გამოიჭიმა. ტელეფონები მოსინჯა, კომუტატორის ღილაკები შეისწავლა.

მთელი ღამე არ ეძინა, გათენებას სულმოუთქმელი ელოდა. მეუღლე რამდენჯერმე შეეცადა, მისთვის დარდი შეემსუბუქებინა, მაგრამ არ იქნა და არა! ბოლოს და ბოლოს, ვის არ გახდომია დირექტორი ავად?!

— გამოსწორდა მდგომარეობა?! — ცივი ოფლი მოიწმინდა მოადგილემ.

— არა უშავს, ახლა ცოტა მომჯობინდა. — პასუხობს პალატის ექიმი.

— ვაშლი “ანტონოვკა“, ბროწეულის წვენი და მრგვალად მოხარშული შქმერული ქათამი სასწრაფოდ მომიმზადეთ! — დარეკა სახლში.

ხორაგი საავადმყოფოს პალატამდე მძღოლს მიატანინა, პალატის კართან თვითონ დაიტვირთა და ხვნეშით შევიდა შიგ. დირექტორმა მადლობის ნიშნად გაუღიმა და თვალები მინაბა.

— ცუდად ხომ არაა?! — შეეკითხა თავმდგმურს.

— მთელი ღამე გავათენეთ, სიკვდილს ხელიდან გამოვგლიჯეთ!

— ვაი, თქვენ, ჩემი ცოდვით სავსე ექიმებო, ეს რა გიქნიათ?! — გაიფიქრა მოადგილემ, მაგრამ იმედი მაინც არ დაუკარგავს, რომ დირექტორი სამსახურში ვერასდროს დაბრუნდებოდა.

თავის კაბინეტში არც შესულა. დირექტორის კაბინეტში თათბირი ჩაატარა.

— უპატრონო არ გეგონოთ თქვენი თავი, მე აქ ვარ! ჭკუით იყავით! ზოგ ზოგს თვალებიც დაუბრიალა.

თანამშრომლის შვილის დაბადების დღეზე თამადად აირჩიეს. ისიც უთხრეს, დირექტორის საქმე წასულია, თურმე,ის ჭირს, ჩვენ რომ ვიცით, და რა გადაარჩენსო!

— რა ვქნა, ძმებო?! — თქვა შეზარხოშებულმა მოადგილემ, „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“... მოდით, წინასწარ შესანდობარი შევსვათ! ყველანი სიკვდილის, შვილები ვართ!..

— ვართ, მაგრამ ერთი განსხვავებით, —ვინ ადრე და ვინ გვიან!

— ჰოდა, ჩვენ გვიან! — მოეპირფერა განყოფილების გამგე.

— ამას ჩემს ადგილზე დავნიშნავ! — გაიფიქრა მოადგილემ, კარგი მლიქვნელია.

მეორე დღეს ტელეფონის ზარი ზარივით დაეცა მოადგილეს: „დირექტორი კარგადაა, მდგომარეობა საამედოა!“

ისევ ბაზარი!.. ბროწეული!.. ქათმის ბულიონი!.. გოჭიც კი შეიძლება!..

სამსახურში გამოცხადდა დირექტორი. ოდნავ დასუსტებული. თავაშვებულმა მოადგილემ ნერვულობა ვერ დაფარა:

—მე იმდენი განვიცადე თქვენი ავადმყოფობის დროს, ექვსთვიანი შვებულება უნდა მომცეთ!..

ჟანი სიხარულიძე

7-75
79-264
ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხუთი ათასი ცალი ამ პარკში ჩამიყარეთ!

ავიბარსისა და ხაბერძენთა ის პროგრესული ძალები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ირანის ამბებთან დაკავშირებით, ეკონომიკურად აქვს თავისი სამხედრო ბაზების ნაწილი გადმოტანილ ირანიდან ამ ქვეყნებში.

სამმაგი უკუნახტომი

ძაღლის მედალი

ქალაქის პარკში სილამაზის კონკურსი ტარდებოდა. უნდა დადგენილიყო ქალაქის ულამაზესი ძაღლი. კონკურსში მრავალი ჯიშის ძაღლი და ათასნაირი ყაიდის პატრონი იღებდა მონაწილეობას. ამიტომ გასაგებია, რომ კონკურსის ჟიურის დიდი თავსატეხი ჰქონდა.

თავსატეხი კი, ძაღლის კი არა, კატის გამო ჰქონდათ გაჩენილი.

ქალაქის ფრიად გავლენიანმა პიროვნებამ, პან ცოცინმა, კონკურსზე თავისი კატა წარმოადგინა. ჯერ კიდევ კონკურსის დაწყებამდე ვერავინ გაბედა პან ცოცინის კატის დისკვალიფიკაცია, ანუ რომ, ახლა ფისუნიას სრული უფლება ჰქონდა, ებრძოლა ყველა ძაღლის წინააღმდეგ სანუკვარი ოქროს მედლისათვის.

ძაღლები უწმინდესი ჯიშისანი გახლდნენ და ერთობ სასიამოვნო იყო მათი ცქერა, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბულდოგი ნომერი სამი, ორი ტანწერწეტა მწევარი 22 და 23 ნომრებით და უზარმაზარი სენბერნარი — № 101. გერმანული ჯოგის ძაღლი მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ იქცევდა...

დაიწყო ჟიურის სხდომა.

— გთხოვთ ობიექტურად გამოთქვათ თქვენი აზრი! — განაცხადა თავმჯდომარემ. — ჩვენ დიდი არჩევანი გვაქვს, კონკურსში 207 ძაღლი იღებს მონაწილეობას...

— და ერთი კატა! — სიტყვა გადაუკრა ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა.

— გთხოვთ, ქარაგმების გარეშე! — წაიბურტყუნა თავმჯდომარემ. — ჩვენ ქარაგმები და გადაკრული სიტყვები კი არა, ნამდვილი შეფასება გვჭირდება!

— მე ერთობ მეჩოთირება ამ კატის ამბავი. — თქვა ჟიურის პირველმა წევრმა. — იქნებ შეგვეტყობინებინა პან ცოცინისათვის, რომ ეს მხოლოდ ძაღლების კონკურსია.

— უკაცრავად, კოლეგა! — შეესიტყვა მეორე წევრი. — პან ცოცინს შესანიშნავად მოეხსენება, რომ ეს ძაღლების კონკურსია. მან მთელი სულითა და გულით დაუჭირა მხარი ამ ღონისძიებას და ფინანსურ დახმარებასაც შეგვპირდა.

— მაშ, რაღაზე მოიყვანა კატა?!

— გთხოვთ, ჭკუას ნურავის ასწავლით, ვინ, სად და რა მიიყვანოს!

— ბატონებო, კამათის დრო არ არის! — ჩაერია თავმჯდომარე. — გთხოვთ, გამოთქვათ აზრი!

სიტყვა მოითხოვა ჟიურის მესამე წევრმა.

— ყველაზე მაღალ შეფასებას მე ვაძლევ მწევრებსა და ბულდოგს, მაგრამ, ჩემი აზრით, პან ცოცინის კატა მათ სჯობს, იგი სულ სხვაა და ეს უცებ გეცემათ თვალში, წმინდა სინდისით მე ხმას ვაძლევ კატას!

— მეც! — თქვა ჟიურის მეოთხე წევრმა. — პან ცოცინს შემთხვევით არ მოუყვანია ეს კატა კონკურსზე!

— დიდი ბოდიში, მაგრამ მე, არაფერი მესმის! — განაცხადა მეხუთე წევრმა. — ძაღლების კონკურსზე ჩვენ კატას რომ მივცეთ მედალი, ხალხი დაგვცინებს. პანი ცოცინი მეტად უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს. ძაღლი რომ მოეყვანა, აღარაფერი იქნებოდა სალაპარაკო!

— ჩვენ აქ ძაღლების შესაფასებლად შევიკრიბეთ, თუ ადამიანების?! — წაიბუზღუნა მესამე წევრმა.

თავმჯდომარემ ერთობ ტაქტიანად ჩაახველა. რა უნდა ეთქვა? ხვალ პან ცოცინს ყველას ნათქვამი ხუთი თითივით ეცოდინება... მაგრამ კატისათვის მედლის მიცემა მაინც მეტისმეტია!..

— რაც შეეხება პან ცოცინის კატას, — ბოლოს თქვა მან, — უნდა აღინიშნოს, რომ იგი შესანიშნავია და ყოვლად დაუშვებელია, რომ ეს ხმამაღლა არ განვაცხადოთ. იმიტომ კი არა, რომ იგი პან ცოცინს ეკუთვნის, არამედ ობიექტურობის გულისთვის! აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ იგი ძაღლია! მაშინ, უდავოდ, ერთხმად მას მიანიჭებდით გამარჯვებას!.. ამიტომ მე შემომაქვს წინადადება, დავაწესოთ დამატებითი, სპეციალური პრიზი!

დადგა კენჭისყრის დრო. ყველა ხმა პან ცოცინის კატამ მიიღო და როდესაც იგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს, ძაღლებმა ყეფა-ღაღვით ერთი გნიასი ატეხეს.

ორმა შესანიშნავმა მწევარმა, მაყურებლის პრიზის სახით, თითო გრამფირფიტა მიიღო.

პან ცოცინმა ამოიღლიავა თავისი კატა და სახლისკენ გასწია. „კატა—კატად“, — ფიქრობდა იგი, — „მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ჯერ კიდევ არსებობენ პატიოსანი ადამიანები!“

პოლონურიდან თარგმნა სტანისლავ რავიჩმა

მთ. რედაქტორის მოადგილე ზაურ ბოლქვაძე სარედაქციო კოლეგია: ზ. ბემეზაშვილი (მთ. რედაქტორი) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე. ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე
● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42,
● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 6/III-79 წ ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/III-79 წ ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 708. უე 00688. ტირ. 158.350 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატები თემების მიხედვით: ბ. ბაბუიძე, ზ. ბოლქვაძე, ნ. მალაზონია, ა. ოქრო-პირიძე, ი. ყენანაშვილი.